მეჩეთში შესვლისას ამბობდა: «შევეფარები უდიდეს ალლაჰს, აღმატებულს, მისი კეთილშობილი სახისა და მარადიული ძალაუფლების სახელით, დაწყევლილი ეშმაკისგან

აბდულლაჰ იბნ 'ამრ იბნ ალ-'აას (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოსცემს: გადმოცემულია ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ის მეჩეთში შესვლისას ამბობდა: «შევეფარები უდიდეს ალლაჰს, აღმატებულს, მისი კეთილშობილი სახისა და მარადიული ძალაუფლების სახელით, დაწყევლილი ეშმაკისგან» (ა'უუზუ ბილლაჰილ'აზიიმ, ვა ბი ვაჯჰიჰილ ქარიიმ, ვა სულტაანიჰილ ყადიიმ, მინა შშაიტაანი რრაჯიიმ), მან ჰკითხა: 'მხოლოდ ესა, რაც შენ მოისმინე?' ვუპასუხე: 'დიახ'. და მან დაამატა: "როდესაც ამას იტყვი, ეშმაკი იტყვის: ეს ჩემგან დაცულია მთელი დღის განმავლობაში"».

[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აბუ დაუდმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მეჩეთში შესვლისას ამბობდა: "შევეფარები უდიდეს ალლაჰს" ანუ ვეძიებ ალლაჰის მფარველობას მისი აღმატებული თვისებებით. "მისი კეთილშობილი სახის", რომელიც გულუხვი და მომცემია, "მისი ძლევამოსილებით",- ძალაუფლება და მბრძანებლობა მისი შექმნილებისგან ნებისმიერზე, "მარადიული" და, უძველეს დროინდელი რომელსაც დასაწყისი არ აქვს და. "ქვით ჩასაქოლი ეშმაკისგან", - დაწყევლილი და ალლაჰის წყალობიდან განდევნილი, ე.ი.: ო, ალლაჰ, დამიცავი მისი ცდუნებებისა და საცდურებისგან, ნაბიჯებისა და საფრთხეებისგან, ხრიკებისა და შეცდომებისგან, რადგან ის არის შეცდომაში შეყვანის მიზეზი და უბიძგებს გზიდან გადახვევას და უცოდინობაში ჩავარდნას. აბდულლაჰ იბნ ამრს ჰკითხეს: ეს ყველაფერია, რაც შენ მოისმინე? ანუ: მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მხოლოდ ამას ამბობდა? თქვა: დიახ. როდესაც მეჩეთში შესული ადამიანი ამ დუას ამბობს, შაიტანი ამბობს: ამ შემსვლელმა დაიცვა თავი ჩემგან მთელი დროის განმავლობაში, დღისით და ღამით.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/8294